

შპს სორის მეღორეობა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური ანგარიშგებები

1. ფინანსური მდგომარეობა
შპს სორის მეღორეობა
2023 წ.

<i>მიმდინარე აქტივები:</i>	31დეკემბერი 2023	31დეკემბერი 2022
საბანკო ანგარიში	17,602	43
მოთხოვნა საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან	287,624	87,098
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	6,608	28
გადახდილი გადასახადები	9,175	23,341
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	46,378	6,787
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	254	34
სასაქონლო მარაგები	105,822	156,866
მთლიანი მიმდინარე აქტივები	473,463	274,197
ძირითადი საშუალებები	2,994,782	3,071,714
დაუმთავრებელი მშენებლობა	10,575	10,575
ბიოლოგიური აქტივები	86,955	98,290
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,092,312	3,180,579
სულ აქტივები	3,565,775	3,454,776
<i>მიმდინარე ვალდებულებები:</i>		
ვალდებულება საქონლის/მომსახურების მომწოდებლებთან	50,964	54,501
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	50,964	54,501
მთლიანი ვალდებულებები	50,964	54,501
<i>კაპიტალი:</i>		
კაპიტალი	3,541,165	3,491,165
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	(26,354)	(90,889)
მთლიანი კაპიტალი	3,514,811	3,400,275
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	3,565,775	3,454,776

დირექტორი:

თათია არაბიძე

შპს სორის მეღორეობა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

შპს სორის მეღორეობა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური ანგარიშგებები

1. ფინანსური მდგომარეობა
შპს სორის მეღორეობა
2023 წ.

მიმდინარე აქტივები:	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
საბანკო ანგარიში	17,602	43
მოთხოვნა საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან	287,624	87,098
მოთხოვნა სანარმოს პერსონალის მიმართ	6,608	28
გადახდილი გადასახადები	9,175	23,341
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	46,378	6,787
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	254	34
სასაქონლო მარაგები	105,822	156,866
მთლიანი მიმდინარე აქტივები	473,463	274,197
ძირითადი საშუალებები	2,994,782	3,071,714
დაუმთავრებელი მშენებლობა	10,575	10,575
ბიოლოგიური აქტივები	86,955	98,290
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,092,312	3,180,579
სულ აქტივები	3,565,775	3,454,776
მიმდინარე ვალდებულებები:		
ვალდებულება საქონლის/მომსახურების მომწოდებლებთან	50,964	54,501
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	50,964	54,501
მთლიანი ვალდებულებები	50,964	54,501
კაპიტალი:		
კაპიტალი	3,541,165	3,491,165
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	(26,354)	(90,889)
მთლიანი კაპიტალი	3,514,811	3,400,275
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	3,565,775	3,454,776
დირექტორი: თათია არაბიძე		



შპს სორის მეღორეობა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

2. საქმიანობის შედეგები
შპს სორის მეღორეობა
2023 წ.

	2023 წელი	2022 წელი
შემოსავლები:		
შემოსავალი რეალიზაციიდან ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი	1,174,196	901,238
წმინდა ამონაგები	1,174,196	901,238
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	260,375	483,843
საერთო მოგება	913,821	417,395
საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	284,740	158,884
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	41,915	19,336
კომუნალური ხარჯები	69,215	22,229
ბუღალტერია/აუდიტი/კონსულტაცია/ნოტარიუსი	6,102	14,239
საბანკო მომსახურების ხარჯები	581	431
ცვეთა და ამორტიზაცია	73,181	41,615
ბიო აქტივების ხარჯი	349,893	49,495
სხვა ხარჯი	17,600	12,056
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	843,226	318,284
საოპერაციო მოგება/ზარალი	70,595	99,111
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	6,059	190,000
წმინდა მოგება (ზარალი)	64,536	(90,889)

დირექტორი:

თათია არაბიძე

შპს სორის მდღორეობა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

შპს სორის მდღორეობა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

2. საქმიანობის შედეგები
შპს სორის მდღორეობა
2023 წ.

	2023 წელი	2022 წელი
შემოსავლები:		
შემოსავალი რეალიზაციიდან ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი	1,174,196	901,238
წმინდა ამონაგები	1,174,196	901,238
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	260,375	483,843
საერთო მოგება	913,821	417,395
საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	284,740	158,884
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	41,915	19,336
კომუნალური ხარჯები	69,215	22,229
ბუღალტერია/აუდიტი/კონსულტაცია/ნოტარიუსი	6,102	14,239
საბანკო მომსახურების ხარჯები	581	431
ცვეთა და ამორტიზაცია	73,181	41,615
ბიო აქტივების ხარჯი	349,893	49,495
სხვა ხარჯი	17,600	12,056
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	843,226	318,284
საოპერაციო მოგება/ზარალი	70,595	99,111
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	6,059	190,000
წმინდა მოგება (ზარალი)	64,536	(90,889)

დირექტორი: თათია არაბიძე



შპს სორის მედორეობა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

1. ფულადი ნაკადების მოძრაობა

შპს სორის მედორეობა

2023 წ.

12/31/2023

12/31/2022

შემოსავლები:

გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	974,620	813,558
--	---------	---------

სულ შემოსული თანხები

974,620

813,558

საოპერაციო ხარჯები:

მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(802,411)	(530,689)
---	-----------	-----------

თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(258,025)	(134,462)
----------------------------------	-----------	-----------

საბიუჯეტო გადასახადი	58,775	23,994
----------------------	--------	--------

სულ გაცემული თანხები

(1,001,661)

(641,157)

ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან

(27,041)

172,401

ფულადი ნაკადების მოძრაობა ინვესტიციებიდან:

ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(2,359)
------------------------------	---	---------

სულ ფულადი ნაკადების მოძრაობა ინვესტიციებიდან:

-

(2,359)

ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან

ფულადი სახსრების უსასყიდლოდ გადაცემა	(5,400)	(190,000)
--------------------------------------	---------	-----------

კაპიტალის ცვლილება	50,000	20,000
--------------------	--------	--------

სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან:

44,600

(170,000)

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	17,559	43
---	--------	----

ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	43	-
---	----	---

ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	17,602	43
--	--------	----

დირექტორი:

თათია არაბიძე

შპს სორის მელორეობა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

შპს სორის მელორეობა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

1. ფულადი ნაკადების მოძრაობა

შპს სორის მელორეობა

2023 წ.

12/31/2023

12/31/2022

შემოსავლები:

გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები

974,620

813,558

სულ შემოსული თანხები

974,620

813,558

საოპერაციო ხარჯები:

მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები

(802,411)

(530,689)

თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები

(258,025)

(134,462)

საბიუჯეტო გადასახადი

58,775

23,994

სულ გაყვნილი თანხები

(1,001,661)

(641,157)

ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან

(27,041)

172,401

ფულადი ნაკადების მოძრაობა ინვესტიციებიდან:

ძირითადი საშუალებების შეძენა

-

(2,359)

სულ ფულადი ნაკადების მოძრაობა ინვესტიციებიდან:

-

(2,359)

ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან

ფულადი სახსრების უსასყიდლოდ გადაცემა

(5,400)

(190,000)

კაპიტალის ცვლილება

50,000

20,000

სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან:

44,600

(170,000)

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა

17,559

43

ზრდა/შემცირება

ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის

43

-

ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს

17,602

43

დირექტორი: თათია არაბიძე



შპს სორის მეღორეობა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

შპს სორის მეღორეობა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს სორის მელორეობა (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2021 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზიგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 437979181.

კომპანიის წილის 100 %-იანი წილის მფლობელია შპს ბლაუენშტაინ საქართველო

კომპანიის ძირითადად საქმიანობას წარმოადგენს ღორების მოშენება და რეალიზაცია

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის მსგავსად შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია მინდინარე შენიშვნაში ქვემოთ, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა - ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიამ 2024 წელში დროებით შეაჩერა საქმიანობა, თუმცა დამფუძნებლებს არ აქვთ გამიზნული კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა და კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას არანაკლებ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

საანგარიშგებო ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების

დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შეძენაზე. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

ბიოლოგიური აქტივები

კომპანიის ბიოლოგიური აქტივები აღირიცხება თვითღირებულების მოდელით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული გადახდილი ავანსები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების დ ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებით სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი

შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლობები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის მიღების და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, იმის მიუხედავად თუ როდის მოხდება თანხის მიღება. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის პირობების გათვალისწინებით, გადასახადების თუ ბაჟის გარეშე. კომპანიამ დაადგინა, რომ ის არის პრინციპალი ყველა შემოსავლის ხელშეკრულებაში, რადგან ის არის მთავარი მოვალე, აქვს ფასის ცვლილების შესაძლებლობა და ასევე ექვემდებარება მარაგების და საკრედიტო რისკს.

ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

- ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და
- ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება

არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვეყნებში დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2023 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

მარაგების გაუფასურება

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	17 602	43
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	17 602	43

5. სასაქონლო მარაგები

კომპანიის სასაქონლო მარაგებს წარმოადგენს დასაკლავად გათვალისწინებული ღორები და ღორების მოსავლელად საჭირო სხვადასხვა მარაგები.

შპს სორის მელორეობა
ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

6. ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	მიწა	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-	-
შემოსავალი	2,139,896	10,575	86,794	146,727	20,048	719,863	3,123,903
გასავალი	-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	2,139,896	10,575	86,794	146,727	20,048	719,863	3,123,903
შემოსავალი	-	-	-	-	-	-	-
გასავალი	-	-	-	-	3,750	-	3,750
2023 წლის 31 დეკემბერი	2,139,896	10,575	86,794	146,727	16,298	719,863	3,120,153
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-	-
წლის ცვეთა	24,926	-	3,604	11,919	1,166	-	41,615
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	24,926	-	3,604	11,919	1,166	-	41,615
წლის ცვეთა	43,740	-	6,324	21,178	1,939	-	73,181
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	68,666	-	9,928	33,097	3,105	-	114,796
საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	2,114,970	10,575	83,190	134,808	18,882	719,863	3,082,289
2023 წლის 31 დეკემბერი	2,071,230	10,575	76,866	113,630	13,193	719,863	3,005,358

7. ამონაგები

კომპანიის ამონაგები 2023 და 2022 წლების მდგომარეობით შედგება დასაკლავი ღორის და ღორის ხორცის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისგან.

8. ბიოლოგიური აქტივების ხარჯები.

ბიოლოგიური აქტივების ხარჯი წარმოადგენს ბიოლოგიური აქტივების კვების და მოვლა პატრონობის ხარჯებს.

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3 541 ათას ლარს, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით-3 491 ათას ლარი. 2023 წლის განმავლობაში კომპანიის კაპიტალში შესულია 50 000 ლარი.

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

2024 წლის საანგარიშო პერიოდში შპს სორის მეღორეობამ სრულად მოახდინა შემოყვანილი და ადგილობრივი ღორების რეალიზაცია და დროებით აღარ აგრძელებს აღნიშნულ საქმიანობას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა არაფერი მომხდარა ისეთი, რაც უნდა იყოს ნახსენები, მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.